ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 193
სეკდემბრის, 11 ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 193
სეკდემბრის 11, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:— ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჩევით, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—23)

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი

გაზეთის „ივერიის“ გამყიდველად. მსურველთ უნდა მიჰმართონ ვექილს გ. ი. გძელიშვილს, მიხეილის ქუჩა, № 113, დილის 9 საათიდან, 10—საათამდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძლიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. მ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ ორდენი: წმ. ვლადიმირისა მე-3 ხარისხისა მახვილებით ვლადივასტოკის მეციხოვნე კაპიტანს ალექსანდრე ქავთარაძეს;

— წმ. სტანისლავისა მე-3-ე ხარისხისა მახვილები და ბანტით აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-11 პოლკის პორუჩიკს ვლადიმირ კარსელაძეს.

ტფილისი

◆ ჩვენს მამა-პაპას დაუტოვებია მრავალი შესანიშნავი ნაშთი. ჩვენ გვიხილავს სხვა-და-სხვა საუკუნოების მხატვრობიანი წიგნები, ეკკლესიები, სამოსლები და სხ. ყველა ეს—ზოგი ინგრევა, იმუსრება, ზოგი იკარგება და ფუჭდება. ზრუნვა გვმართებს, რომ დაკარგვა-დალუპვისაგან დავიხსნათ ეს ნაშთნი. თუ ყველას აღდგენა შეუძლებელია, ის მაინც მოვახერხოთ, რომ მათი სახეები, ნახატები გადმოვიღოთ და სიძველეთა ალბომები შევადგინოთ. ბ-ნ მომცელიძეს უკვე დაუწყვია ამ გვარ ალბომების შედგენა. მის ხელში ჩვენ ვნახეთ საოცარის ხელოვნებით გადმოღებული ნიმუშები ძველის მხატვრობისა. ოღონდ საჭიროა დახმარება. ალბომის შედგენას და ბეჭდვას დიდი შრომა და ხარჯი უნდება. ბ-ნი მომცელიძე იმედოვნებს, რომ იგი იშოვის [illegible] მიერ განზრახულ საქმის სისრულეში მოსაყვანად. ამგვარ ალბომებს დიდი ფასი და გასავალი ექნება, არა თუ ჩვენში, არამედ მთელს ევროპაშიაც. კარგი იქნება, შეგნებული და ფულიანი კაცები თუ მოეშველნენ მომცელიძეს, ხელი შეუწყონ ჩვენებურ მუზეუმებმაც, მცხეთის განმაახლებელ კომიტეტმა და სხ.

◆ მოგვივიდა სეკდემბრის ნომერი ჟურნალ „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით: ციყვი და მგელი ალ. ხარშილაძისა, დიდი ბატონი ბეს. ვაშაძისა, შოშია (კრილოვ...) აკაკისა, იშვიათი მამაცობა (თარგმანი), შვიდი ყვავი (ზღაპარი) ნიკუშა მაჩაბლისა, დარაჯი ბატი (თარგმანი), მელიას თავგადასავალი (გაგრძელება) ალ. ნათაძისა, მგელი და მელია (ლუნკევიჩისა) კ. ფრონისპირელისა, პატარა დედოფალი (გაგრძელება) ს. ციციშვილისა, გიორგი (მოთხრობა) გ. ბოკერიასი, ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი ს. მგალობლიშვილისა, წვრილმანი: ანდაზები, გამოცანა, შარადა, არითმეტიკული გამოცანა და სხვა.

◆ იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭომ მიიღო საქციზო გარდასახადთა გამგებლისაგან 942 მან. 68 კაპ., რომელიც შეუგროვებია ყულაბებით საქციზო გამგეობას ტფილისსა, გორსა, ახალციხესა, ქუთაისსა, ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ყვირილასა, ბაქოსა, შემახასა, ლენქორანსა და სხვა ქალაქსა და დაბაში. განყოფილების საბჭო მადლობას სწირავს როგორც საქციზო უწყების მოხელეთ ამ ფულის შეგროვებისათვის, ისე ფულის შემწირველთ.

1 აგვისტოსათვის საბჭოს ჰქონდა კასაში 18,399 მან. 19 კ. აგვისტოში შემოვიდა 1592 მან. 49 კ. სულ გახდა 19991 მან. 68 კ. დაიხარჯა აგვისტოშივე 2283 მან. 56 კაპ. 1 სეკდემბრისათვის დარჩა 17708 მან. 68 კ.

აგვისტოში თვალით ავადმყოფთა სამკურნალოში იყო 375 ახალი ავადმყოფი თვალებითა.

◆ დღეს დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს ტფილისის ქუჩების მოკირწვლა გაუმჯობესებულის სისტემით.

◆ ქალაქის გამგეობამ მიიწვია სამსახურში ინჟინერ-ტეხნიკოსი ბ-ნი ხითაროვი, რომელსაც დაავალეს ქალაქის ელექტრონით განათების პროექტის განხილვა და ამ საგნისავე ხარჯთ-აღრიცხვის გადათვალიერება.

◆ როგორც ქალაქის მე-3-მე ამომრჩეველ განყოფილების ამომრჩეველთა სიებიდგან აღმოჩნდა, ამ ნაწილში 13 ქართველი ყოფილა დასახელებული კანდიდატათ მომავალ ოთხის წლის ხმოსნობის თანამდებობაზედ. აი მათი გვარები: ბერელაშვილი, ვაწაძე, გამყრელიძე, ღულაძე, ქართველიშვილი, ყიფიანი, ყიფიანი, მესტიაშვილი, მირიანაშვილი, ნატროშვილი, ტატიშვილი, ხრამელაშვილი და ჰრელაშვილი.

◆ სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი თავ. ვ. ი. მოსალსკი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიაში სხვა-და-სხვა ადგილების დასათვალიერებლად და ნიადაგის შესასწავლად; მოსალსკის დავალებული აქვს შეიმუშაოს, რა საშუალებით შეიძლება ჩაის ბუჩქის გაშენება ამ ადგილებში.

◆ ახლად განთავისუფლებულ სტიპენდიების მისაღებად ქალაქის გამგეობას ყოველ დღე მისდის მოსწავლეთაგან ახალ-ახალი თხოვნები.

◆ რადგანაც გამგეობამ გარდასწყვიტა, რომ მომავალში ელექტრონით გაანათოს მხოლოდ უმთავრესი ქუჩები, ამიტომ გამგეობაში ლაპარაკია ჩამოვარდნილი იმაზედ, თუ რა ტიპის განათება შემოიღონ ქალაქის იმ ქუჩებზედ, სადაც ელექტრონის სინათლე არ იქნება გაყვანილი.

◆ ქალაქის გამგეობამ გარდასცა თავის ტეხნიკოსებს ყველა მსურველთაგან წარდგენილი პირობანი განათების შესახებ და დაავალა ყველა სისტემის განათებაზედ წარმოსთქვან თავიანთი აზრი, რომელი უფრო კარ-[illegible]

◆ ქალაქის ხორცის დუქნებში 4, 5 და 6 ამ თვეს გაყიდულა 2021 მან. 76 კაპ. ხორცი.

◆ ქალაქის გამგეობამ მუსიკალურ სასწავლებელს გადასცა ყოველ წლიურ სტიპენდიის [illegible] 324 მან. საინტერესოა ვიცოდეთ, [illegible] სასწავლებლის [illegible] ისგან უსარგებლნია ვისმეს ქართველ [illegible] სწავლეს თუ არა!

◆ ბეითალი როსტოვსკი ქალაქის გამგეობამ დანიშნა ქალაქის საქონლის ბაკების გამგედ.

◆ კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებამ გუშინ გაგზავნა კაცი ქალაქის გამგეობაში იმ ქაღალდების პირების გადასაწერად, რომელიც იწერებოდა ამ საზოგადოების ლორის გამოკვლევის შესახებ გამგეობის მიერ.

◆ ქალაქის გამგეობამ შეუთვალა გუბერნატორს, რომ ჩვენის მხრივ არავითარი დაბრკოლება არ არის, რომ გაბრიელ ავეტ. ბაგატურიანმა დააარსოს ლაბორატორიაო.

◆ არუთინ სევინოვმა გუბერნატორს მიართვა ქაღალდი, რომლითაც აგურხანის გახსნას თხოულობდა პეტრე-პავლეს სასაფლაოს ახლო. გუბერნატორმა ეს თხოვნა ქალაქის გამგეობას გარდასცა, დაბრკოლება ხომ არაფერია ქალაქის მხრივაო; ახლა ქალაქის გამგეობა ატყობინებს, რომ არუთინა სევინოვს უკვე აუშენებია აგურხანა, ხოლო იმ ალაგზედ-კი არა, საცა თხოულობდაო, არამედ კახეთის გზატკეცილის ახლოვო. როგორც ქალაქის ტეხნიკოსის ახნაზაროვის გამოკვლევამ აღმოაჩინა, ეს აგურხანა უნდა დაიქცეს, რადგანაც მცხოვრებლების სახლებზედ ექვსის საჟენის სიშორეზედაა და ცეცხლის მხრივ საშიშოაო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების უფროსი გამგე ბ-ნი ალიხანოვი, რომელიც ახლახან ბაკურიანიდგან დაბრუნდა, ამ დღეებში გაემგზავრება ჩალდირის საბოქაულოში საქონლის შესაძენად, იქიდგან გაემგზავრება სარაკამიშს და ყარსის ოლქის იმ ადგილებში, სადაც საქონლის მოშენებას მისდევენ; ყარსიდგან ბ-ნი ალიხანოვი გაემგზავრება ჩრდილო კავკასიაში, სტავროპოლის გუბერნიაში, საიდანაც საზოგადოდ საკლავ საქონელს მოერეკებიან ხოლმე ტფილისში.

◆ **ტფილისი**, როგორც სჩანს, ბუდე ყო-

ფილა საქონლის არამც თუ სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა, არამედ ჭირისაც-კი; წინად, ვიდრე ქალაქი ხორცის დუქნებს გამართავდა, საქონლის პატრონები და ყასბები თვალთმაქცობით ისე ხერხიანად ჰმალავდნენ საქონლის ავადმყოფობას, რომ ვერას გაიგებდა კაცი ვერც ჭირისასა და ვერც ავადმყოფობისას. ახლა-კი, როცა ქალაქმაც გაიჩინა საქონელი და საქონლის ზარალი ჯიბეს უთხელებს ქალაქს, გულიანად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. სად გინდათ, რომ ქაღალდი არ მისწერა, სად გინდათ, რომ კარანტინები არ დააწესა და ბეითლები არ დასხა ყარაულად; ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზედ ითქმის. ახლა ისიც-კი შემოღულია ქალაქის გამგეობას, რომ საქონელი, რომელსაც ან ბაკებში სადგომად, ან გასასყიდად, ან საყასპოში მიერეკებიან დასახოცად, უნდა გაიშინჯოს ტერმომეტრით. ამიტომ ისე დღე არ გაივლის, რომ კარანტინში 15—20 სული არა ჰყავდეთ დაჭერილი.

✦ ნარფუხის ჩასახვევში, მე-6 ნაწილში, სოფიო ბეგლაროვის სახლი გადმოწოლაზეა თურმე. ბოქაული ითხოვს, დანიშნოს გამგეობამ თავისი ტეხნიკოსი ამ სახლის დასათვალიერებლად.

შეცდომის გასწორება:

„ივერიის“ გუშინდელ ნომერში (№ 192) ს. ქვარიანის წერილში სათაურით: „სამი გმირი“ მესამე გვერდზედ და მეოთხე სვეტზედ ზეიდან, მეთერთმეტე და მეორმოცდა სამე სტრიქონებში შეცდომით დაბეჭდილია ორსავე ალაგას 700 მანეთი, უნდა იყოს 7000 მანეთი. აგრეთვე ამავე წერილში მეოთხე გვერდზედ, პირველ სვეტზედ, უნდა იყოს რედაქციის შენიშვნა: ქვარიანის მიერ დახარჯული ფულის სია წარმოდგენილი იყო რედაქციაში.

ტფილისის საბჭოს კრება. გუშინ-წინ ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა საბჭოს წევრთა კრება. კრებას თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს წევრის ე. მ. აკოფოვის გარდაცვალება, რომლის სახელის პატივის საცემად ხმოსნები ფეხზედ წამოდგნენ. კრებაზედ წაკითხულ იქმნა წარსულ კრების ოქმი, რომელიც, მცირე ოდენის შეცვლის შემდეგ,, ერთხმად შეიწყნარეს. მაგალითად, ოქმში შესცვალეს ის ადგილი, სადაც ნათქვამი იყო: „მელიქბეგლაროვი და ლისიციანცი ხმა მაღლა ჰყვიროდნენო“. ამ კრებაზედ განხილულ საქმეთა შორის საყურადღებო იყო მხოლოდ ის დად[illegible] სავაჭრო დაწესებულებათ მოემატოს გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ 10 პროცენტიო. ამავე კრებაზედ ხმოსნებმა დაადგინეს: 1) განასაჩივრიან სენატის წინაშე საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილება ზუბალაშვილის სახელობაზედ სახლის აშენების თაობაზედ; 2) საგუბერნიო საკრებულოსგანვე არ შეწყნარებული საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ქალაქის მიწები დაჰრიგებოდათ შემახაში დაზარალებულებს. გამგეობის წევრთ დაევალათ დაამზადონ ამ საქმეთა ოქმები, რომელიც უნდა წაკითხულ იქმნას შემდეგს კრებაზედ. საბჭოს კრება ღამის 12 საათზედ დასრულდა.

ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულთა კრება. შვიდს ამ თვეს, შაბათს, სალამოთი შესდგა კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულთა ბ-ნ ი. ს. ბუღდანოვის თავმჯდომარეობით და ბ. ა. ე. ქილაევის მდივნობით. კრებას დაესწრო საგლეხო საქმეთა წევრი ბ-ნი ბარანოვსკი. კრება დაიწყო ცხრა საათზედ. კრებას ორმოც-და-ათამდე რწმუნებულნი დაესწრნენ. წაკითხულ იქმნა განაჩენი წარსულის კრებისა, რაიცა დიდი ხნის კამათის შემდეგ დამტკიცდა. მეორე განსახილველი საგანი იყო დამტკიცება იმ ინსტრუქციისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ხარჯის ამკრებთ. ინსტრუქციაში მოხსენებულია, რა პროცენტი და როგორ უნდა მიეცეთ მოკრებილ ხარჯის კვალობაზედ! ინსტრუქცია არ მოეწონათ ხარჯის ამკრებს და მის თანაშემწეთ და დიდ ხანს უმტკიცებდნენ საზოგადოებას, რომ კომისიის წევრთა შედგენილი წესრიგი უკანონოაო; შემდეგ-კი გამოირკვა, რომ იმათ ჯამაგირის დანიშვნა უნდოდათ, რაიცა სწორედ კანონით აღკრძალულია. კომისიის წევრთ ბ-ნმა დანდუროვმა, ადამიძემ და ტარიელოვმა დიდ ხანს ილაპარაკეს და დაუმტკიცეს საზოგადოებას, რომ ერთად-ერთი საშუალება ამ საქმეში ეს წესრიგია, შედგენილი კომისიის მიერ,და სწორედ მის შემწეობით შეიძლება იძულებულნი გახდონ ხარჯის ამკრეფი და მის თანაშემწენი იმუშაონ და მოჰკრიფონ გაწერილი ხარჯი და დარჩენილი წარსულის წლებისა. კომისიამ ითხოვა კენჭი ეყარათ ამ საგნისათვის. დიდ ხანს გაუწიეს წინააღმდეგობა ხარჯის ამკრებმა ბ ნმა ხოსროევმა და მის თანაშემწეთ: მახარობლიძემ და სევანოვმა, მაგრამ მაინც კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო კომისიის შემუშავებული წესრიგი. შემდეგ მიიღეს რამდენიმე მოქალაქეთა რიცხვში და განთავისუფლეს ზოგიერთნი მათის თხოვნისამებრ. დანარჩენი განსახილველი საგნები გადადებულ იქმნა. კრება გათავდა ღამის პირველ საათზედ.

ჩვენებური ამბები

დაბა საჩხერედგან შემდეგ საზარელ ამბავს გვატყობინებენ: იქაურ ვაჭარ სომეხს ენუქა ხოჯაშვილს ერთი წლის დაქორწინებული ვაჟი ჰყოლია, რძალიც იქაურივე ვაჭრის ქალი ყოფილა 16—17 წლისა. 7 ამ თვეს ხსენებული ვაჭარი თავის ცოლითა და შვილით ეკკლესიაში ყოფილან სადამოს ლოცვა ზე, ხოლო რძალი ორსულობის გამო სახლში დარჩენილა. რამდენისამე ხნის შემდეგ ლოცვიდან დაბრუნებულებს შემდეგი საზარელი და მასთანავე გასაოცარი სურათი დახვედრიათ სახლში: ორსული ქალი თავის საწოლ ოთახში ხანჯლით აკუწული უნახავთ და იქვე ყელ-გამოჭრილი მსახური იმერელი ბიჭი და ყოველივე ეს მომხდარა სადამოს 7 საათზედ შუაგულ დაბაში. გამოძიება სწარმოებს.

ახალ-სენაკი. კვირას, 8 ამ თვეს, აქ დიდის ამბით აკურთხეს აქაური სამრევლო-საეკკლესიო საქალებო სკოლა. კურთხევას დაესწრნენ მოსწავლეები და აქაური მაღალი საზოგადოება და ხალხი. კურთხევის შემდეგ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა ბუტირსკიმ. გალობდა ამავე სკოლის მოსწავლე ქალთა ხორო და სასულიერო სასწავლებლისა. სკოლა მშვენიერი ხის შენობა არის და საკუთარი მიწაც აქვს. სკოლის საკუთარ შენობის შეძენისათვის დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის ადგილობრივ ბლაღოჩინს მ. არისტარხოს კალანდარიშვილს. სულით და გულით ვუსურვებთ ამ ახალს სკოლას აყვავებას.

ტრიფონ კალანდარიშვილი.

ღანირი (იმერეთი). ღანირი მდებარეობს შვიდს ვერსზე ხონიდგან. ღანირლები უმეტესად მიწის მუშა ხალხია. სწავლა-განათლება ამ სოფელში მკვიდრს ფესვებს იდგამს.

ღანირში არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა და ერთიც სამრევლო. არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ სამინისტრო სკოლის შენობა ჯერ-ჯერობით არ არის აშენებული და ამ მიზეზის გამო საზოგადოებას დაუქირავებია კერძო სახლი, რომელშიაც ძლივსძლივობით მოთავსდება სულ დიდი ოც-და-ხუთი [illegible] აურჩევიათ რამდენიმე კაცი, რომელნიც ვალდებულნი არიან აგონ სკოლის შენობა; ერთს თვეს მეტი გაუვლია მას შემდეგ, რაც ეს საჩქარო საქმე დაავალეს, მაგრამ ეს [illegible] გულ გრილად ეკიდებიან საქმეს: შეიკრიბებიან სადამოობით და ჰკარგავენ დროს წუდის ნაგვაში და ან ტკბილ მასლაათში.

დროა, რომ ღანირლებმა გამოიღვიძონ, მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება სკოლას და იზრუნონ, რომ დაარსონ სამკითხველოც.

ქუთაისი. სათავად-აზნაურო საქმეები.— უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. მოხმარების საკითხი. გუბერნიის მარშალმა თ. სიმონ ლორთქიფანიძემ 3 ენკენისთვისთვის მოწვეული თავად-აზნაურთა საგანგებო კრება გახსნა დეპუტატთა საკრებულოს ზალაში. ამ საგანგებო კრებას ერთად-ერთი საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი, სახელდობრ ის, თუ რას მოხმარდეს მარშანდელი ასი წლის იუბილეს გამო უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. ამ საგნის შესახებო, განაცხადა თავმჯდომარემ, აპრილის მორიგ კრებაზედაც გვქონდა სჯაბაასი, მაგრამ საბოლოვოდ იგი ვერ გადავწყვიტეთ, საამისოდ ამოვირჩიეთ კომისია, რომელსაც მივანდევით შემუშავება პროექტის, თუ რას უნდა მიეხმარდეს ეს ფული: სკოლის დაარსებას, თუ სტიპენდიებს. აი დღეს ამ კომისიამ უკვე შეიმუშავა აზრი სტიპენდიებად ამ ფულების მოხმარებისა და წარმოგიდგინათ კიდეც წერილობითი პროექტი, თუ როგორ და რა გვარ სასწავლებლებში უნდა განაწილდეს იგი. ახლა-კი თქვენი საქმეა მისი მიღება, თუ უარ-ყოფა, დააბოლოვა თვისი შესავალი სიტყვა თავმჯდომარემ და სთხოვა საზოგადოებას გამოეთქვა თავისი აზრი.

ს. ჯაფარიძე—მიკვირს, დღეს, 2 ენკ., ასე ნაადრევად ამ კრების დანიშვნა და ისიც დილის, როდესაც ყველა ისევ სამსახურშია. თავად-აზნაურობისათვის ასეთის საკითხის განსასჯელად კრებას ვერ ესწრება მისი მომეტებული ნაწილი. საგანი მოითხოვდა დინჯად განსჯას, სერიოზულად მოპყრობას, დღეს-კი სიჩქარის გამო ამას ვერ ვხედავთ. მე ვითხოვ ამ საკითხის გადაწყვეტა გადიდვას მომავალ მორიგ კრებისათვის.

დ. ნიჟარაძე (ქუთ. მაზრის მარშალი). კრება იმიტომ დავნიშნე, რომ მეგონა, 15 ენკენისთვიდგან დაიწყებოდა ახლად დაარსებულ სამეურნეო კომიტეტის კრებები და, რომ ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ, დღევანდელი კრება დავაჩქარე. მხოლოდ დანიშვნის შემდეგ გამოირკვა, რომ სამეურნეო კომიტეტის კრებები 15 ოქტომბრიდგან დაიწყებაო, მაგრამ რაღას ვიქმოდით: უწყებები უკვე გაგზავნილი გვქონდა. რატომ დილისათვის დავნიშნე და არა სალამოსათვისაო? ამის და, საზოგადოდ, თავად-აზნაურთა კრებების წესრიგი კანონითაა განსაზღვრული: იგი უსათუოდ დილით უნდა დაინიშნოს.

კონ. ნიჟარაძე. სტიპენდიების დაარსებით ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებს ვერას ვუშველით. დღეს ყველა ვხედავთ, რომ 300 ბავშვიდგან სასწავლებლებში მხოლოდ 20—25 იღებენ. სასწავლებლების მთავრობა იმით ანუგეშებს მშობლებს, რომ ეუბნება, თქვენის ხარჯით იქირავეთ ბინა და მასწავლებლები და ჩვენც პარალელურ განყოფილებებს გავხსნით, კლასებს მივუმატებთო. რასაკვირველია, ამას მხოლოდ მდიდრები ახერხებენ, ღარიბები-კი ამითიც ვერ სარგებლობენ. 1898 წ. მთავრობა შეგვპირდა სასწავლებლის გახსნაში სანახევროდ ხარჯს ჩვენ გავწევთ, ოღონდ თქვენ ამოირჩიეთ, რაგვარი სასწავლებელი გეპირვებათო. აი, შემთხვევაც ეს არის და ვისარგებლოთ ამით და დავიარსოთ გიმნაზია. იქ დამთავრებულები-კი თავის-თავათ გაიკვლევენ გზას უმაღლეს სასწავლებლებში.

დავით წულუკიძე (მოლარე საურთიერთო ბანკისა). მე არ ვხედავ საფუძველს კრების გადადებისას. კრებაზე დაუსწრებლობა, ჩემის აზრით, ჩვენის ინდიფერენტიზმით აიხსნება; ჩვენ არაფერი გვაინტერესებს, ყველაფერს გულგრილათ ვუყურებთ. ნათქვამია, კაცს თუ სურვილი აქვს, საქმე ნახევრათ გაკეთებულიაო. ამ საგანზე აპრილის კრებებზედაც ბევრი ვილაპარაკეთ და, იმედია, ახლაც ხელს არ დავაკლებთ და მაშასადამე, საკითხის გადაწყვეტილება დღეს უკვე შესაძლოა. დღეს ამ საგანზე ორგვარი აზრი ტრიალებს საზოგადოებაში: ერთნი ამტკიცებენ, ამ ფულით სასწავლებლის დაარსების საჭიროებას, მეორენი-კი არჩევენ იმის სტიპენდიებად მოხმარებას. თქმა არ უნდა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფს ორთავე ესენი ერთი მეორეზე ესაჭიროება; ჩვენთვის დღეს ძნელი სათქმელია: არა, ეს უფრო საჭიროა და არა ესო. ჩემის აზრით, ორივე საჭიროა, მაგრამ მე რომ ავწონ-დავწონე ეს საკითხები, უპირატესობას სტიპენდიებს მივცემ მხოლოდ მაშინ, თუ იმას სპეციალურ უმაღლესს სასწავლებლებში დავ[illegible]. დღეს ამ სასწავლებლებში [illegible] ახალგაზდობის ძალიან მცირე ნაწილი მიდის უსაღსრობის გამო; ჩვენ ქვეყანას-კი დღეს აი ამ სასწავლებლებში გამოზრდილი ახალგაზდები სჭირია. ჩვენი სიმდიდრე ჩვენის უცოდინრობის გამო სხვის ხელში გადადის და მიზეზი-კი ამისა ისაა, რომ სპეციალისტები არ გვყავან. ამოდენა ერს არ ჰყავს, გარდა იურისტებისა და ექიმებისა, არც ერთი ხელობის კაცი. ამიტომ საჭიროა, თუ ამ ფულს სტიპენდიებად გადავდებთ, დავნიშნოთ იგი უმაღლეს სპეციალურ სამთო-სამადნო, საინჟინერო, სატყეო, საკომერციო და სხვა ამ გვარ სასწავლებლებში. აქ სტიპენდიების დანიშვნით ჩვენ ახალგაზდობას ერთგვარ მახეს დავუგებთ და იქითკენ მივიზიდავთ მათ. ასე ვფიქრობდი და ვარჩევდი დღემდე. მაგრამ ახლა გავიგე, რომ ჩვენ თანამოძმეებს, ლიხთ-იმერთ, ტფილისის გუბ. თავად-აზნაურობას გადაუწყვეტია, სხვათა შორის, უმეტესი ნაწილი ამ ფულებისა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში დანიშნოს ღ მაშასადამე,ამით მათ უკვე შეავსეს ჩვენი ცხოვრების ერთი უმთავრესი ნაკლი—ქართველი სპეციალისტების გამრავლება. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სულ ერთია, გვეყოლება სპეციალისტები ტფილისის გუბერნიიდგან, თუ ქუთაისიდგან, ოღონდ კი ქართველები იყვნენ. ამიტომ ჩვენ ქუთ. გუბ. თავად-აზნაურობას გვმართებს აღნიშნული ფულით დავიკმაყოფილოთ ჩვენი ცხოვრების მეორე არა ნაკლებ თვალსაჩინო ნაკლი—**საშუალო სასწავლებლის დაარსებისა** და ამით გზა გავუხსნათ ჩვენს ღარიბს თავად-აზნაურთა შვილებს სკოლის დაარსებით.

გიორგი ქორქაშვილი (სამხედრო ექიმი). მე არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, რომ გიმნაზია გათავებულს სიღარიბის გამო ვერ მოეხერხებინოს სწავლის გაგრძობა, თუ-კი მას საამისოთ სურვილი ჰქონდა. მართალია, მოსწავლის ცხოვრებაში გაჭირვება და უხერხულობა ბევრია, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტებაა, ვნებაა, ვინემ ის, რომ მოზარდი თაობა სრულიად სასწავლებლებში ვერ შედის, მისს გარეშე რჩება და ეს რომ მართალია, ამას დღევანდელი ციფრებიც ღაღადებენ. ქუთაისის მარტო ორ საშუალო სასწავლებელში 300—500 მთხოვნელია და მხოლოდ ამის მეხუთედს თუ მეათედს ხვდება ბედნიერება იქ შესვლისა. სხვა სასწავლებლებში კიდევ სხვაა. 100 და 200 მთხოვნელში 20 და 30 იღებენ. სწავლის მიღების წყურვილი ხალხში დიდია, ეგზამენებსაც კარგათ იჭერენ ბავშვები, მაგრამ უვაკანსიობის გამო წრეს გარეთ რჩებიან. რამდენათაც ვიცი, სტუდენტები თითონ უარს აცხადებენ სტიპენდიებზე, ამ ფულით ისინი არჩევენ სასწავლებლის დაარსებას. მაინც კიდევ, განაგრძობს იგი, სტიპენდიები ვერ გაამრავლებენ სტუდენტთა რიცხვს უმაღლეს სასწავლებლებში. ის მხოლოდ გაუადვილებს მდგომარეობას რამდენიმე ბედნიერს, რომელნიც უმაღლეს სასწავლებელში შეყვეს თავი, ე. ი. გაუადვილებს ისეთებს, რომელთაც უამისოთაც შეეძლებათ სტუდენტური ცხოვრების განგძობა. ამიტომაც მე სკოლას ვარჩევ სტიპენდიებსაო.

ს. ჯაფარიძე. ემხრობა წინა ორატორის აზრს და უსამართლობას ხედავს იმაში, რომ ერთთ უმაღლეს სასწავლებლებს ვათავებინებთ და მეორეთ-კი დაბალს და საშუალო სასწავლებლის შესვლის და გათავების შეძლებას არ ვაძლევთო. გიმნაზია გათავებულს ყოველგან შეუძლია გზის გაკაფვა, ისინი-კი, ვინც სრულიად სასწავლებელ გარეშე რჩებიან, მუდამ განუკურნებლად, დაკარგულად ითვლებიან. ეს იმ დროს, როცა ისინი თუ-კი სასწავლებელში შევიდოდენ, საუკეთესო მოქალაქენი შეიქნებოდნენ. ამისათვის მეც სასწავლებლის დაარსების მომხრე ვარ.

ს. ხარაკიძე. საზოგადო საქმეებზე გულშემატკივარი (მოიჯარადრე და ვაჭარი შავი ზღვის პირზე). აცხადებს, რომ სტიპენდიებით ისარგებლებენ მარტო ის ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც დამტკიცებულია ამ წოდებაში. სამეგრელოს თავად-აზნაურობის უმეტესობა-კი ჯერ დაუმტკიცებელია და მაშასადამე, იგი ამით ვერ ისარგებლებს. ამისათვის საჭიროა დაარსდეს სასწავლებელი, რომლითაც ყველანი ისარგებლებენ უმაღლესად ნაწყალობებით.

იაშვილი. ვინც გიმნაზიას ათავებს, ის ისეთ ხნოვანობაშია და ისე განვითარებული, რომ უსწავლს ვერ ვეტყვით. ის თითონ გაიკაფავს გზას. იქ შესვლა-კი დღეს-დღეობით, როგორც ვიცით, ძნელია, რადგან ვაკანსიები ძალიან ცოტაა. იქ შესასვლელად ბავშვის მომზადება მშობლებს ორს და ზოგს სამ წელიწადს 1000 მან. უჯდება, რაც შეუძლია მხოლოდ მდიდრებს და საშუალო საღსრის მქონთ, დანარჩენთა შვილები-კი, თუ სასწავლებელში ვერ შევლენ, დაკარგულათ უნდა ჩაითვალონ, ამ გვარები ვენახში ყურძნის პა[illegible] და თუ გაუჭირდათ უარესს. მაშ სასწავლებლის დაარსებით ვაკანსიების გამრავლება შეადგენს მიუცილებლად არსებით საჭიროებას ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურობისათვის შვილების გამოზრდის საქმეში. ამისათვის მეც სკოლას ვარჩევ.

სპირიდონ ჯორჯიკია (პედაგოგი). ბ.ბ. ჯაფარიძის და ქორქაშვილის სიტყვებს შემდეგ მე ბევრი აღარა დამრჩენია-რა სათქმელი, რადგან იმათ დაწვრილებით აღნუსხეს სასწავლებლის დაარსების უაღრესობა. სკოლის ტიპზე ჯერ ლაპარაკი არ არის. მე მხოლოდ დავუმატებ, რომ თავად-აზნაურთა შვილებისათვის სკოლის დაარსებას საშუალო სასწავლებლის უფლებებით აქვს არსებითი მნიშვნელობა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ჩვენი დღევანდელი სკოლის გათავების შემდეგ ძალიან მცირედი ნაწილი შედის მთავრობის სკოლების მეხუთე კლასში. მშობლები ამას მასწავლებლებს აბრალებენ. ნამდვილათ-კი ამ სკოლის მასწავლებლები თავიანთის გამოცდილებით და ბავშვების ჰუმანიურ მოპყრობით უკეთესნი თუ არ არიან, სხვა სასწავლებლის მასწავლებლებს სრულებით არ ჩამოუვარდებიან. ჩემის აზრით, ერთის მხრივ ამის მიზეზნი არიან თვით მშობლები, რომელნიც ვერ მეთვალყურეობენ თავიანთ შვილებს, მეორეს მხრივ, თვით ბავშვები, უვაკანსიობის გამო მონდომილობა ეკარგებათ სწავლისა. ამ ნაირად მისს სწავლის ბედს სწყვეტავს სათავად-აზნაურო სასწავლებლის მეოთხე კლასი. ჩვენ ვამჩნევთ, რომ პირველ ორ-სამ კლასში ხუთებზე მოსწავლე ყმაწვილი, მეოთხეში გადავა თუ არა, სწავლას უკლებს, რადგან იცის, რომ მომავალში მას ბედი არ უღიმის. ჩვენის გიმნაზიის დაარსებით, მას ექნება მიზანი უკედ ისწავლოს, მეტი მხნეობა და მონდომილობა გამოიჩინოს, რათა მიიღონ მთავრობის სასწავლებელშიაც. ამისათვის დაარსება სათავად-აზნაურო გიმნაზიისა არა თუ მოსპობს სათავად-აზნაურო სკოლას, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, პირ-იქით გააღვივებს მათში სწავლის შეძენის სურვილს და მით გამოიწვევს მომეტებულ ცდას მეცნიერების შესწავლისას და ასე ამ რიგათ მატებს $^0/_0$-ს სათ.-აზნაურო სკოლიდგან გიმნაზიებში გადამსვლელთა რიცხვს. ამასთან სტიპენდიების დაარსება ყოველთვის შეიძლება, გიმნაზიის დაარსების ნებას-კი ყოველთვის არ მოგვცემენ. უნდა მომენტით ვისარგებლოთ და უმაღლესად ნაბოძები ფული ჩვენს უმთავრესს მიზანს მოვანდომოთ. დღეს დღეობით, [illegible] განაცხადა სათავად-აზნაურო საქმეებზე გულგატეხილმა და გძლათ მოუბარმა ორატორ-პედაგოგმა, ჩვენი თავად-აზნაურობის განათლების საქმე უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვინმე გლეხ-კაცობისაო. ამისათვის ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, იგი ამ მხრივ წინ წავწიოთ.

დ. ნიჟარაძე. მივიღოთ აწ სტიპენდიების პროექტი, რომ ფული არ დაგვეკარგოს და რამდენიმე წლის შემდეგ გამოვიმუშაოთ ტიპი სკოლისა და იმას მოვახმაროთ ეს ფული.

ს. ჯაფარიძე. ნიჟარაძის წინადადება თავის თავად ლამაზი და მომხიბლავია, მაგრამ თუ დავუკვირდებით, იგი ჩვენთვის დამღუპველია. რადგან მთავრობა ერთხელ დამტკიცებულ აზრს ამ ფულის მოხმარებისას აღარ შესცვლის და გარდა ამისა მოუხერხებელიცაა 2—3 წელიწადს ეს ფული სტიპენდიებად დავარიგოთ და მერე ისევ წავართვათ სტიპენდიატებს იგი და ცარიელზე დავტოვოთ. ამისათვის ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს, რომ დამთავრებული ხასიათი ექნეს. ამასთან მან მოიყვანა ოცხელთას (ინსპექტორი სათავად-აზნაურო სკოლისა) ნალაპარაკები და თქვა, რომ ნეტავი ის მშობლები, რომელნიც მე (ოცხელს) ფეხ-ქვეშ მეგებოდნენ და შვილების სკოლაში მიღებას მთხოვდნენ, წამომაყვანინა კრებაზეო, მაშინ ისინი (ამ საკითხის ასე თუ ისე გადამწყვეტნი) დაინახავდნენ, ვის უნდა მოახმარონ ეს ფული: სასწავლებლებში შესულებს, თუ შესავლებსო. შემდეგ ამ გვარის ბაასისა კრება მეორე დღისთვის (4 ენკ.) გადიდვა.

ისო.

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

ინგლისი. გასულს პარასკევს დუბლინში მოხდა მუნიციპიალურ საბჭოს კრება მთავრობისათვის პროტესტის გამოსაცხადებლად, რადგან ამას წინად სრულიად განსაკუთრებული კანონი შემოიღო ამ ქალაქისათვის.

40 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-სა საბჭომ დაადგინა: „გამოუცხადოს მთავრობას პროტესტი იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან დუბლინის მოქალაქეთ მიაყენა განსაკუთრებულის კანონის შემოღებით, მაშინ როდესაც ამ ქალაქში, მიუხედავად მცხოვრებთა სიმრავლისა, მეტად მცირეა სხვა-და-სხვა მკვლელობა-ბოროტების ჩადენა“. მოქალაქენი აცხადებენ, ადვილად დავამტკიცებთ, რომ სამეფო პროკლამაცია მხოლოდ ცილისწამება და მტკნარი სიცრუეაო. ერთმა ორატორთაგანმა განაცხადა, რომ ისე ვერაფერი ვერ განამტკიცებს ეროვნულ ორგანიზაციას ირლანდიაში, როგორც ამ გვარი პროკლამაციაო. ამას წინად სამართლიანად შენიშნა დილონმა—ირლანდიის შეერთებულ ლიგის მთავარმა გამგემ—ეს სულ ირლანდიის საქმეთა მინისტრის—უინდჰემის საქმეაო. პროკლამაცია განუცხოვლებს სიცოცხლეს ზემოხსენებულ ლიგას და იმდენად განაძლიერებს მას, რამდენადაც ძლიერი იყო ეროვნული ლიგა პარნელლის დროსაო.

გერმანია. როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, პოზნანის სეიმის ვიცე-მარშალს გრაფ ქულტოვსკის თურმე კამერჰეროობა ჩამოართვეს. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ჯერ კიდევ იმპერატორის მოსვლამდე პოზნანს გრაფ ქულტოვსკის განუცხადებია ობერ-ცერემონიმეისტერ გრაფ სოლმს-ბარუტისათვის—რადგან პოლონელებმა გადასწყვიტეს არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ იმპერატორის დახვედრაში, მეც ვუერთდები ამ გადაწყვეტილებას და იმპერატორს არ მივეგებებიო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ვილჰელმ მე-II-ის პოზნანიდგან წასვლის დღესვე გრაფ ქულტოვსკიმ ბერლინიდგან მიიღო დეპეშა გრაფ სოლმსისაგან—თქვენ გამორიცხული ბრძანდებით პრუსიის კამერჰერთა რიცხვიდგან და კეთილ ინებეთ ამ წოდების ნიშნების ბერლინში წარმოგზავნაო. რადგან კარის კაცთა დანიშვნა, თუ დაჯილდოება, პირადად იმპერატორის ბრძანებით ხდება, ეჭვს გარეშეა, რომ გრაფ ქულტოვსკის „გაუბედურებაც“ პირად იმპერატორის ბრძანებით მოხდა.

იტალია. ნეაპოლიდგან დეპეშით ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს, ვეზუვი ამ უკანასკნელს ხანებში მოქმედებას იწყებსო:

მიწის გულიდგან ხშირად მოისმის ძლიერი გრგვინვა; ღამ-ღამეობით ვეზუვის თავზედ ცეცხლის სვეტი ადგია; ვულკანიდგან სცვივა ნაცარი და წვრილი ქვები. ვულკანს გადადუღებული ნივთიერება პირზედ ადგია და მზადაა გადმოჰხეთქოს. ამბობენ, ხანდახან ცეცხლის ბურთები ამოვარდება ხოლმე და ჰაერში სკდებაო.

ქალ. ნეაპოლის მუნიციპალიტეტი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ნეაპოლს არავითარი შიში არ მოელისო.

ბუნების-მეტყველნი და მოგზაურნი ათასობით აწყდებიან ნეაპოლს, რომ ვეზუვის დიად სანახაობით დასტკბნენ. ჯერჯერობით 30,000-მდე უცხოელს მოუყრია თავი ნეაპოლში. სასტუმროებში თურმე ერთი ბინაც აღარ იშოვება თავისუფალი.

ბულგარია. გაზეთ „Temps“ ს დეპეშით ატყობინებენ სოფიიდგან, შიპკას დღესასწაულთა დასრულების შემდეგ კაბინეტში ბევრი ცვლილება მოხდებაო: ცანკოვის მომხრეთ, რომელთა ხელშიაც იყო დღემდე მთელი სამინისტრო, ოთხს ადგილს დაუთმობენ სტოილოვის მომხრეთაო; უკანასკნელნი სახალხო კრებაზედ იმ მხარეს დაიჭერენ, სადაც მთავრობის უმეტესობა იქნებაო. შესაძლო-კია, რომ დამატებით არჩევნებმა სხვანაირად დაატრიალოს საქმე და ცანკოვის მომხრენი ისევ შერჩნენ თავიანთ ადგილებსაო.

— მაკედონიის კომიტეტის უკიდურეს ჯგუფის მეთაური ბორის სარაფოვი, რომლის ბინადრობის შესახებ სხვა-და-სხვა ხმები იყო გავრცელებული, სამხრეთ სერბიაში, ნიშში, უნახავთ ამ დღეებში, დაუპატიმრებიათ და ბელგრადს გაუგზავნიათ. სარაფოვი თურმე სხვის სახელით იმალებოდა.

საბერძნეთი. ათინიდგან ატყობინებენ „Times“-ს, მეფის ბრძანებით აღკრძალულია საბერძნეთიდგან იარაღის გატანაო.

ამ განკარგულების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ბულგარელი აგენტები გამუდმებულად ეზიდებოდნენ იარაღს ფარულად საბერძნეთიდგან მაკედონიაშიო. ამბობენ, ბულგარელი ქისარები ბერძენ მღვდლის ტანისამოსით დაიარებოდნენ და შემოწირულობას აგროვებდნენ, ვითომ და მცირე აზიაში ბერძენთათვის სკოლების დასაარსებლად. ამნაირად მათ დიდ-ძალ ფულს მოუყარეს თურმე თავი მაკედონიის კომიტეტისათვისო.

პორტუგალია. გაზეთ „Kolnische Ztg“-ში მოთავსებულმა წერილმა—გერმანიამ აუცილებლად უნდა შეიძინოს პორტუგალიის საკუთრება ანგოლა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ-აფრიკის გერმანიის სამფლობელოდგან ჩრდილოეთითა სძევსო—საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე ლისაბონში. გაზეთი იმ აზრისაა, რომ მეტად გაუძნელდება გერმანიას ამ ადგილის ხელში ჩაგდება, რადგან ახლო მომავალში პორტ-ალექსანდრიის რკინის გზას გაიყვანენ მის მახლობლადაო.

პორტუგალიის ოფიციალურ გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად არავითარი მოლაპარაკება არ არსებობს გერმანიასა და პორტუგალიას მორისაო, და დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს, რომ ხელში არავის ჩავუგდოთ ისეთი განძი, როგორიც ანგოლაა პორტუგალიისათვისო.

სხვა-და-სხვა წერილები

სამი გმირი

(ბბ. ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე და რგანელი). *)

III

დიდ ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ეს წერილი გაგვიჭიანურდა. მიზეზათ მარტო ჩვენი ღირსშესანიშნავი ოპონენტები არ გახლავს. ამ წერილით გვსურს უფრო ვრცლად გავაცნოთ მკითხველს „შავი-ქვის საზოგადოების“ საქმენი და მეტი ნათელი მოვფინოთ მის მიერ დაფარულ ჩარხს. როგორც წინეთ გწერდით, მარგანეცის საქმე თითქმის უმთავრესი საქმეა მთელ დასავლეთ საქართველოსთვის. ამ შავი-ქვით სჭამს პურს 7—8 ათასი ოჯახი. ამ საქმეს მოაქვს წლიურად ევროპიდგან 6—7 მილიონი მანეთი. ჭიათურაში გაუბამთ ქსელი და გაბატონებულან უმეტესად უცხოელი ელემენტები. მათ დაუმონებიათ ნივთიერად მკვიდრნი და სწოვენ სისხლს. სწორეთ ამ წურბელა-ჩარჩების მოსამორებლად და ადგილობრივ მრეწველთა დასახმარებლად წელს დაარსდა ჭიათურაში „შავი-ქვის საზოგადოება“, რომლის წევრად ითვლება 188 ქართველი მრეწველი (ამათში ორი ჯერ არაა ოფიციალურად მიღებული) და არა 180 კაცი, როგორც ბრძანებს ბ-ნი აბაშიძე. საკვირველია, ეს კაცი სხვას უკიჟინებს არითმეტიკის არ ცოდნას და თითონ ამ „დიდებულ“ ბანკირს ყოველ ნაბიჯზედ ეშლება ციფრები, თუმც სიებიც და ანგარიშებიც ხელთა აქვს. ამ რიგად „შავი-ქვის საზოგადოებაში“ შევიდნენ ჭიათურის მრეწველთა ნახევარზედ მეტი. რა არის ამ შავი-ქვის საზოგადოების მიზანი? მისი მიზანია შეაერთოს დიდ ამხანაგობათ ადგილობრივი მრეწველნი, რომელნიც დაყოფილნი ჯგუფებათ სრულის ამხანაგურის წესით, მოაწყოს მრეწველთ ბაქნები და იაფი სესხი, გაუიაფოს და გაუადვილოს მადნებში მუშაობა, გააუმჯობესოს ქვის ღირსება ქვის გარჩევით, გარეცხით ან სხვა საშუალებით, განავრცოს მადნებში მუშაობის ტეხნიკა, გააიაფოს ქვის მადნიდგან ჩამოტანა დარების, ბრემსბერგების ან მავთულის თოკების საშუალებით, დააკლებინოს რკინის გზის ტარიფი, აქონიოს პირ-და-პირი გზა და კავშირი ევროპა-რუსეთის მექარხნეებთან და ამრიგად, თუ არ მოსპოს, შეამციროს მაინც ძლიერ მსყიდველთა, ექსპორტიორთა და კომისიონერთა უზომო ექსპლოატაცია. სხვათა შორის, ამ მიზნების მისაღწევად ეს საზოგადოება, ჯერ კიდევ დაარსებამდე, ე. ი. ჭიათურის მრეწველნი, შეეკვრნენ საამხანაგო პირობით ბერლინის მანგან-სინდიკატს, რომლის მოვალეობაა საქონლისათვის ბაზრების მოპოვება, ქვის რიგიან ფასებში გაყიდვა და ადგილობრივ საწარმოვოდ ფულის მიცემა 6°/₀-ით და სხვ.

როგორც სჩანს, ამ „შავი-ქვის საზოგადოების“ დაარსების მიზანი ფრიად საგულისხმო და სიმპატიურია, იგი ეხება ჭიათურის მრეწველთ, მთელი წარმოების გაწესრიგებას და სამართლიან საფუძველზე დამყარებას, ამიტომ მას უნდა დაეხმაროს ყოველ მხრივ, როგორც ადგილობრივი პრესსა და ინტელიგენცია, აგრეთვე თვით უმაღლესი მთავრობა. ამ შავი-ქვის საზოგადოებას არა აქვს მარტო კომერციული ხასიათი, ეს იმავე დროს საზოგადო საქმეა და მისი ყოველმხრივ ზრდა და მოქმედება, რამდენათაც ეს შესაძლებელია, უნდა იყოს აღნიშნული ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. სწორეთ ამ თვალით ვუცქერდით და ვუცქერთ ამ საქმეს და ამიტომ იყო, რომ სისტემატიურად გაცნობდით მის ვითარებას მკითხველ საზოგადოებას (იხ. „ივ.“ №№ 186, 206, 233, 1901 წ. აგრეთვე „ცნობის ფურცელი“ (№№ 1688 და 1739). ზოგიერთ გაუბატონოს არ მოსწონთ ეს გულახდილობა, არა სურთ გაზეთის „უბაში“ ჩაავლოს ეს საქმე, ისინი ბრძანებენ, რომ ეს საქმე ვიწრო კომერციულიაო; აქ ყველაფერი ფარული და საიდუმლო უნდა იყოსო და სხვ. საქმის გაუცნობელი პირი მართლაც შეფიქრდება ამ სიტყვებზედ; შეიძლება დაეთანხმოს კიდეც, და ვინც საქმეს გაცნობილია; მან კარგად იცის, თუ რა იფარება ამ სიტყვების უკან. ამ გაუბატონოთ უყვართ სიბნელე და ბნელი ღამეები, უყვართ სიჩუმე და ფარულობა, რადგან... ტუჩი ღიბლოში აქვთ გასვრილი, მაგრამ ეს ჩვენს შორის იყოს, მკითხველო. რა ქნას თუ „მეტიჩარა“ „აბეზარ“ ქვარიანს და მის თანამოაზრეებს უყვართ სინათლე და სურთ ძალის-ძალად მოიტანონ ანთებული [illegible] შავი-ქვის საზოგადოების საქმეთა წყვდიადში, რათა აჩვენონ ქვეყანას ამ საქმის მექანიზმის მავნე და ფარული ამბები!

ბბ. რგანელი და აბაშიძე ბრძანებენ, რომ გამგეობის არჩევით საზოგადოებას დიდი ხარჯები მოუვიდოდაო, მოჰყავთ ხარჯთ-აღრიცხვა 30,900 მანეთისა, საიდგანაც თავმჯდომარეს, დირექტორებს, ბუღალტერს და მოლარეს ეძლევათ სულ 12,700 მან. წლიურადო. ახლა-კი იხარჯება 4,200 მ. და სხვ. აქ „დიდებული პუბლიცისტი“ კვიწყნებს არითმეტიკის ცოდნას. ჯერ ერთი გკითხოთ ამ ორს რაინდს, თუ ვისი შედგენილია ეს ხარჯთ-აღრიცხვა 30,900 მანეთისა? ის შეადგინეს ვექილებმა და საორგანიზაციო კომისიამ შავი ქვის საზოგადოების დაარსებამდე; იგი არ განუხილავს, არც მიუღია საზოგადო კრებას. ეს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი არის მეტად სრული და ჭიათურა-ქუთაისის და ვგონებ ფოთის კანტორებზედ გაზომილი. მასთან მისი შემცირება შეიძლება სამხნევად. აქ თავმჯდომარეს ეძლევა 3000 მ. მის მოადგილეს 2,500 მ., ორს დირექტორს თითოს 2000 მ. და სხ. ამის ნაცვლად შეიძლებოდა აგვერჩია მხოლოდ სამი კაცი: თავმჯდომარე 2000 მ. და ორი დირექტორი 1800 მ. თითოს, მასთან ეძლეოდათ კიდევ °/₀°/₀ წმინდა მოგებიდან, ჯერ ხანად ამ ფულს დასჯერდებოდნენ საქმის მოყვარე კაცები. მასთან რადგან ჯერ რთული საქმეები არ არის, ადვილად შეეძლოთ ეკისრათ ამათვე მდივნის, ბუღალტრის და მოლარის თანამდებობა. ამ რიგად ამ პირთა წლიური ხარჯი აღირიცხებოდა 12700 მანეთით კი არა, არამედ 5,600 მანეთით. ბ-ნი კიტა ბრძანებს, რომ დღეს საზოგადოებას წლიურად მარტო 4200 მ. ეხარჯებაო. აქ მცირე რამ გულმავიწყობა ემჩნევა ჩვენს არქიმედს. აქ უცაბედათ დავიწყნია მდივანი, რომელიც იღებს დღეს წლიურად 1200 მ. და კიდევ მწერალი, რომელიც იღებს, თუ არა გცდებით, 200 მანეთამდე (ნეტავ ბ-ნი ზდანოვიჩი რამდენს იღებს კიდევ?). ასე რომ მათ დღევანდელ ხარჯს შეადგენს სწორეთ 5600 მან., გარდა ბ-ნ ზდანოვიჩის და კომისიის წევრთა ჯილდოისა, ე. ი. იმდენი, რაც მოუვიდოდათ გამგეობით და რასაც ვამბობდით წინეთ. ახლა გავიგოთ, თუ რა უპირატესობა ექნებოდა გამგეობის არჩევას: გამგეობა გაეცნობოდა ყოველივე საქმეებს და მთელს თავისს დროსა და ენერგიას მოანდომებდა მათს მოწყობას, ჩააყენებდა მათ აზრიან ფარგალში, ეცდებოდა მოეპოვა ჯგუფთათვის საჭირო ბაქნები და მით არ გაამწვავებდა საქმეს, როგორც მოხდა დღეს, ვინაიდგან ზიდვენ ქვას საზოგადო ბაქანზედ. გამგეობის რომელიმე წევრი წავიდოდა ბერლინში ან ლონდონში და ეცდებოდა გაეყიდა ქვა, ვინაიდგან დღეს ქვის გაუყიდაობა სულს უხუთავს მთელს საზოგადოებას, გამგეობა უფრო იაფად, უფრო ბევრს და უფრო აზრიანად იყიდდა მადნებს საზოგადოების წევრთათვის; გამგეობა კიდევ ბევრს სამნიშვნელო საქმეს ჩაიდენდა, რაიცა ძლიერ სასარგებლო იქმნებოდა მრეწველთათვის. დღეს-კი ჭიათურის ბანკირებს და ბ-ნ ზდანოვიჩს არ სცალიანთ ამ საქმეებისთვის, მათ თავიანთი საქმე აქვთ. ჭიათურის ბანკირებს არც შეუძლიანთ და არც აქვთ უფლება გაეცნონ ამ საქმეებს; მათ მიანდვეს ქვის მიღება, საზოგადო ბაქნები, ფულის მიცემა და სხვა რამეზედ ხელი არა აქვთ. მაგრამ ამ სამართლიან და აზრიან ორგანოს, ე. ი. გამგეობის დაარსება არა სურთ ბ-ნ ზდანოვიჩს და მისს ვეზირებს, არ სურს ბ-ნ აბაშიძეს და რგანელს. გამგეობის დაარსებით ბ-ნი ზდანოვიჩი ველარ იქნება საქმის ბატონი და მეთაური; მან ან უნდა დაანებოს თავი საბჭოს თავმჯდომარეობას (რასაც არ იზამს), ან შავი-ქვის საზოგადოებას. ამ რიგად ამ „უანგარო მოღვაწეს“ აღარ ექმნება წლიური ჯილდო 2,000—3,000 მან. გამგეობის დაარსებით იმ ორ ვეზირსაც მოაკლდება გავლენა და ბატონობა. გამგეობის დაარსებით არც კიტა აბაშიძეს და არც რგანელს ექნებათ ას ასი მანეთი თვეში, აი რა აშფოთებს და რა აცხარებს ამ „უანგარო მოღვაწეებს“! დეე, ისევ საზოგადო საქმე დასნეულდეს, დაისეტყვოს და დაზიანდეს, ვინემ ჩვენ მოგვაკლდეს უფლება, გავლენა და ჯამაგირებიო! აი მათი ჭეშმარიტი აზრი და მიზანი! მაგრამ ათასი რომ იღაქუცონ, იფარისევლონ და ითვალთმაქცონ, მაინც დამჯდარი კაცი ცნობს, თუ რა ედემის კეკერი ბრძანდებიან ეს გაუბატონები. მათ შეუძლიანთ შეცდომაში შეიყვანონ მხოლოდ გულუბრყვილონი და საქმის გაუცნობელი პირნი და არა სხვა. თუმც ცდილობენ ძლიერ გვეჩვენონ თეთრად და უმანკოდ, მაგრამ თქმულა:—„არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა“.

ს. ქვარიანი.

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

სომხურ „ნორ-დარ“ გაზეთს ჰკუაში აღარ მოუდის ის ამბავი, რომ სომხობა უფრო ვაჭრის ხალხად არის ცნობილი და აგვისტოს 30 რიცხვის მოწინავე წერილით ამბობს შემდეგსა:

> „თუმცა სომხის ერის უმეტესობა მიწის მუშაობას მისდევს, ასე თუ ისე მიწასთან აქვს საქმე, ერთი უფრო უმნიშვნელო ნაწილი სხვა-და-სხვა საშუალებით (შინამრეწველობით) ცხოვრებას ეძევა და მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილი ადგია ალებ-მიცემობას, მაგრამ უცხოელები სომხებს იცნობენ, როგორც ალებ-მიცემის ხალხს, ჰგონიათ რა, სომხებს, ურიებსავით, სოფლები არ ჰქონდესთ, სომეხთა შორის სოფლელები არ იყვნენ, სომხები მარტო ვაჭრობას, თუ გნებავთ, ჩარჩობასაც მისდევდნენ და თითქოს ეგრეთაც იყოს მართლა.
>
> ვაჭრები მოძრავი ხალხია და თავიანთი ხელობა ერთის ადგილიდგან სხვა ადგილს გადააქვთ, უცხოთა შორის განუწყვეტლივ ირევიან და იმავ მიზეზით ეს უცხონიც სომეხთა შორის მხოლოდ ვაჭრებს ხედვენ.
>
> ამ საისტორიო-საპოლიტიკო გარემოებათა წყალობით ვაჭართა დასს, სხვა წოდებათა შესამჩნევის სიცოტავის მიზეზით, სომხობის ასპარეზზე ბატონობითი მდგომარეობა უპყრია!.. ბუნებრივად ამ მდგომარეობასთან და სავაჭრო ხელობასთან ერთად განვითარებული ქვეყნის მხილაობა, ყოფა-ცხოვრება მოქმედებს სომხობაზე და სომეხთა ცხოვრებას აძლევს მარტო ვაჭრობის საკუთარ ფერსა და მოძრაობას.
>
> ბუნებრივად სამეცნიერო, სამხედრო და სხვა წოდებათა ცხოვრებასა და პირობასთან დაკავშირებული ქველობა, თუ ნაკლი სომეხთა ცხოვრებაში არა ჩანს და თუა, იმდენად უმნიშვნელოა, რომ კაცი ვერ ამჩნევს.
>
> თუმცა ასეა, არ უნდა გვიკვირდეს, რომ უცხოელები სომეხთა შორის მხოლოდ ვაჭრებს ხედვენ და საუბედუროდ ვაჭრობის ნაკლულოვან მხარეებსა.
>
> ჩვენც სომხები ჩვენში ვაჭრობისა და ვაჭრების თანასწორი მდგომარეობის დამძლეობისა გამო სომეხთა შორის მხოლოდ ვაჭრებს ვხედავთ, ვაჭრებს ვეძებთ და უნდა გამოვტყდეთ, კიდეც ვპოულობთ ნასწავლ კაცებს, მღვდლებს, ექიმებს, ინჟინერებს, ყველგან და ყოველთვის საალებ-მიცემო ატმოსფერის სულს ჰპატრონობს. ნუ-თუ ესე უნდა დარჩეს? ნუ-თუ ჩვენის ხალხის გონებრივის, ბუნებრივის, ევროპიულის განვითარებისათვის, ნივთიერის უზრუნველყოფისა და კეთილდღეობისთვის მიუცილებელია და საჭიროც არის ჩვენში მობატონე სავაჭრო წოდება იქნეს, ჩვენის საზოგადოებრივის, ამხანაგობრივის ცხოვრების სული—ალებ-მიცემა.
>
> ვერ ვიტყვით, სავაჭრო დასი, მეტადრე განათლებულის, განვითარებულის დასის ვაჭრები ყოველ საზოგადოებაში, სახელმწიფოში მიუცილებელი, სასურველი და სარგებლ არ იყოს, მაგრამ საზომ-სამანიც უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით სომეხთა მორის საჭიროა ვაჭართა წოდება ზომიერი და მორიდებით იყოს, თორემ მარტო ვაჭრებისაგან შედგენილი საზოგადოება დაისჯება და დაეცემა.
>
> ვაჭრობა როდია უზრუნველ-მყოფელი ხალხის ნივთიერის კეთილდღეობისა.
>
> ჩვენის ხალხის მდაბიო უმეტესობა, რაკი მიწის მუშის წოდებას ეკუთვნის, უნდა ვცდილობდეთ მიწის მუშაობა ყოველ მხრივ განვავითაროთ სომეხთა შორის, სხვაფრივ ვთქვათ, ვაჭრის შვილებმა უნდა დასტოვონ თავიანთი მამების ხელობა და შეიქმნენ მიწის მფლობელნი.
>
> მიწის მფლობელობა მიწის მუშა ხალხისათვის, აი საქმე. ვაჭრები უნდა შეიქმნენ მამულის პატრონები, ბინადრობით ცხოვრებას შეუდგნენ, მათ მრჩენელ ქვეყანასთან დაკავშირებული უნდა იყვნენ, მიწა დაიმუშაონ. მაშინ მამულის პატრონების წოდება გვეყოლება და ეს წოდება თავის შესაფერად ავ-კარგსაც შეიქმს.
>
> ჩვენი ქვეყანა და ჩვენის ქვეყნის გარემო ქვეყნები წინ მიდიან. უწინ კავკასიაში ერთი რკინის გზის ლიანდაგი არ იყო. ეხლა-კი რკინის გზით გადაბმულია ერთმანერთთან ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა ცენტრები. მალე სპარსეთამდე მიაწევს რკინის გზის ლიანდაგი.
>
> მცირე აზიასა და სასომხეთზე რკინის გზის ლიანდაგს გაავლებენ ინდოეთის ევროპასთან შეერთებით. ეს ქვეყნები ჩვენს სამშობლო ქვეყანას დააჭვება სრულის სიმძიმით. საჭიროა მიწების ხელთა გდება, მიწის დაპატრონება და მემამულედ გახდომა, რათა მიწა სხვებს არ ჩაუვარდეს ხელში, ცხოვრება მიწის მოქმედებით და მიწასთან დაკავშირებულის საქმითა.
>
> მხოლოდ იმ დროს, მაგრამ რა? ვკითხავთ, მიწის მოქმედი, თუ ვაჭარი.
>
> რასაკვირველია, მიწის მოქმედი—მემამულე“.

ჩვენც მანდა ვართ.

წერილი

რედაქციის მიმართ

I

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც კეთილ-ინებეს და წიგნები შემოსწირეს სურამის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს: ბ-ნს. ი. იმედაშვილს და გ. ციხელაშვილს. პირველმა 3 მან.-დის საფასური წიგნები და მეორემ 4 მანეთამდე.

სურამის სამკითხველოს გამგე ნებიერიძე.

II

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო როგორც ჩემის, აგრეთვე გამგეობის მხრივ (მისსავე დავალებით) ბ-ნ სოლომონ გოშაძეს, რომელმაც შემოსწირა თელავის წიგნთ-საცავს თავისი ხელით ნახატი მშვენიერი სურათი პატარა კახისა. ეს სურათი მალე ჩარჩოში ჩასმული დაიკიდება სამკითხველოს ოთახში.

ქეთო ზარაფიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 სეკდემბერი.

პეტერბურგი. გუშინ ეკკლესიებში ურიგებდნენ ბოდდანოვიჩის ახალს წიგნაკებს: „ხელმწიფე იმპერატორის სიტყვანი“ და „ტაძარი-ძეგლი მიმკაზე“.

სარატოვი. გუშინ გათავდა შინამრეწველობის გამოფენა გუბერნიის ერობისა. 300-ზე მეტი ჯილდოა გადადებული სამიწათმოქმედო სამინისტროსაგან და გუბერნიის ერობისაგან.

კალუგა. ენკენისთვის 13-დგან 17-მდე სამეურნეო საზოგადოების მიერ გამართულ იქმნება გამოფენა ცხენებისა, ცხვრისა, ფუტკრისა, ნათესობისა და ხილეულობისა.

ვერნი. გუშინ დიდ-ძალ ხალხის დასწრებით გაიმართა პირველი სოფლის გამოფენა სასოფლო მეურნეობისა და წარმოებისა.

ბრიუსელი. გუშინ საღამოს სპადგან მოვიდა გრაფინია ლონიაი. იქიდგან იუწყებიან, გრაფინია სწრაფად წავიდა ბრიუსელს, რადგან მეფემ სთქვა, არ შევალ პალატაში, სადაც გრაფინია ლოცულობდა დედის გვამის გვერდით, ვიდრე იგი იქაურობას არ განშორდებაო. ბრიუსელს რომ მოვიდა, გრაფინიას ვოკზალზე მიეგება დიდ-ძალი ხალხი, რომელიც ქუდ-მოხდილი ელოდა. ამბობენ, გრაფინია დღესვე წავა ინგლისშიო.

ლიეჟი. გუშინ დე-ფონ-ბეტში გამართეს დიდი პროცესსია თავისუფალმა სკოლებმა. მცხოვრებნი პროცესსიაში ერივნენ ჯვრებითა და ბაირაღებით; ხალხს წინ უძღოდა გალობით სამღვდელოება. მონაწილეობას იღებდა 50,000-მდე კაცი და 15,000 ბავშვი. ტრიალს მინდორზე გამართეს საკურთხეველი და „მესსა“ გადიხადეს. მღვდელმა სთხოვა ხალხს ელოცათ მონოზანთა დედათათვის. ბაბაში ყრილობანი მოხდა. ერში ისმოდა: „გაუმარჯოს თავისუფლებას, დათა და სარწმუნოებასა.“

იოჰანესბურგი. ნავთსადგური მოტალა, რომელიც ლორენცო-მარკეზედგან ორს მილზეა, იჯარით გადაეცა ინგლისს.

კონსტანტინოპოლი. რადგან საიდუმლო ცნობანი მიუღია მაკედონიის კომიტეტს, გადაუწყვეტია პირდაპირ იმოქმედოს 18 სეკდემბრიდგან. ილდის-კიოსკში შემდგარა სამხედრო ბჭობა, რომლის შემდეგაც ყველა სამხედრო უფროსებს მიუვიდა მიწერილობა, ფრთხილად იყავით და მოემზადენით ყოველ შემთხვევისათვისო.

პარიჟი. იუწყებიან, რომ მთავრობა სთხოვს პარლამენტს, შეამციროს საბიუჯეტო წესით ბაჟი შაქარზედ დაახლოვებით 40 მილიონამდე, რომ ამ სახით უზღონ შაქრის მწარმოებთ ზარალი პრემიების მოსპობის გამო, რაიცა განზრახული აქვს მთავრობას.

მოსკოვი. მოვიდნენ მოსკოვში წევრნი კრიმინალისტების საერთაშორისო კრებისა. უნივერსიტეტში სადღესასწაულო კრება იქმნა გამართული. სტუმრებს მიეგებნენ: რექტორი და დეკანი იურიდიულის ფაკულტეტისა. საერთაშორისო კრების წევრთა მხრივ ილაპარაკეს ჰამელმა და კარრომ რუსეთის მიერ გულწრფელ მიღებისა და იურისპრუდენციის წარმატების შესახებ. სტუდენტებს მიჰმართეს შემდეგის სიტყვით: იმისათვის, რომ კაცმა მეცნიერება შეისწავლოს და მეცნიერი გახდეს, საკმარისი არ არის ნიჭი და ენერგია, საჭიროა ამავე დროს პატიოსანი, კეთილი გულიო. კონგრესის წევრებმა დაათვალიერეს საპატიმროები, სამუშაო სახლები და მუზეუმი. საღამოს ქალაქმა გაუმართა ნადიმი.

პეტერბურგი. დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, ჰერცოგინია საქსენკობურგ-გოტისა თვისის ქალით საზღვარ-გარეთ გაემართა. გზათა მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგში.

რიგა. საბერძნეთის მემკვიდრის ძემ ნიკოლოზმა და მეუღლემ მისმა ელენე ვლადიმერის ასულმა გაიარეს რიგაზე და მივიდნენ ლიბავას. იქიდგან წაბრძანდებიან დანიაში ხელმწიფე მემკვიდრის გემით „Зарница“-თი.

10 სეკდემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა აღკრძალულ იქმნას ცალკე ნომრობით გასყიდვა გაზეთის „Петер. Газета“-სი.

26 აგვისტოდან 1 სეკდემბრამდე ავად გახდა ხოლერით პორტ-არტურს 45 კაცი, დალინის—5, ვლადივოსტოკში—24, უსურიის ნიკოლსკში—3, ბლაგოვეჩენკს—4. რაკი ყველგან შესუსტდა ხოლერის ეპიდემია პრიამურის საგენერლო-გუბერნატოროში და ამ უკანასკნელ სამს კვირას აღარავინ გამხდარა ავად ბაიკალის ტბის მახლობელ ადგილებში, შესაძლებლად იქმნა ცნობილი, რომ თან-და-თან შემცირდეს რიცხვი მკურნალთა და ობსერვაციის ვადათაც მხოლოდ ორი დღე იყოს დაწესებული ირკუტსკში აღმოსავლეთიდან დაბრუნებულ გადმოსახლებულთათვისაო.

ოდესაში 28 მაისიდან 29 შემთხვევა იქმნა აღმოჩენილი საეჭვო ავადმყოფობისა, რომელიც შავ ჭირად მიიჩნიეს. ამ ავადმყოფთა შორის 10 კაცი მოკვდა. აქედან სეკდემბრის პირველს ექვს დღეზე მოდის ხუთი ავადმყოფი, მათ შორის ოთხი გარდაიცვალა. 7 და სეკდემბერს საეჭვოდ ავად არავინ გამხდარა.

ნოვოჩერკასკი. 9 სეკდემბერს დაიწყო დონის საეპარქიო სამისიონერო კრება.

რიაზანი. 9 სეკდემბერს გათავდა სამეურნეო გამოფენა. მიუსაჯეს 80 ჯილდო, მათ შორის საპატიო დიპლომი 2, დიდი ოქროს მედალი 12 და პატარა ოქროს მედალი 20.

ბერლინი. სტატს-სეკრეტარმა პირადოვსკიმ განუცხადა კომისიას, რომელმაც 9 სეკდემბერს დაიწყო მეორედ კითხვა სატამოჟნო ტარიფის პროექტისა, რომ მთავრობას არა აქვს აზრად განიმეოროს პირველად პროექტის [illegible] დროს გამოთქმული განმარტებანი [illegible] ბაჟის შემოღების შესახებ. მთავრობას შეუძლიან მიუთითოს [illegible] წინანდელ განმარტებაზე, რომელიც მთავრობამ წარმოადგინა მაშინ, როცა კომისიებმა თავისი დადგენილებანი შეიმუშავეს, რადგანაც ეს დადგენილებანი შეეხება ისეთს საგნებს, რომელიც მთავრობის პროექტს არა ჰქონდა სახეში და დიდი მნიშვნელობისა-კი იყო.

ლონდონი. მთავრობის წარმომადგენელთ არაფერი იციან იმის შესახებ, რომ პორტი მატალა იჯარით გარდაეცი ინგლისსო.

კილი. პრინცმა ჰენრიხმა 9 სეკდემბერს დაათვალიერა კრეისერი „ასკოლდი“.

ბერლინი. როგორც გაზეთები იტყობინებიან კილიდან, პორტის ხომალდი სამხედრო ნავსადგურსა დაეჯახა და გადააბრუნა რუსის სამხედრო ორთქლის გემი „ოკეანი“. გემის მოხელენი გადარჩნენ. გემი ნაპირზე გამოიტანეს.

ლონდონი. „Standart“-ს ატყობინებენ შანჰაიდან, რომ ბოქსერების აჯანყება პროვინცია ჩავნში ჯერ კიდევ არ მოუსპიათ. ჩინეთის მისსის შენობანი მეიაში დააქციეს. კაცთაგან არავინ მოკვდარა. ბოქსერები ახლა მხოლოდ ტუამიენსა, გუნგიასა და კიანტინგში არიან.

პეტერბურგის ბირჟა, 6 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	—
პარიჟში ,,	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთ ბანკისა	94¾ გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357 წვ. გაყ.

---

*) იხილე „ივერია“ № 193.

5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	292 წვ. გაყ.
5°/₀ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5°/₀ ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½°/₀ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6°/₀ ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	174½ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალიქსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ

განცხადება

ქირავდება

ააფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყოილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, გზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა ამით უცხადებს საყოველთაოდ ახლის პატრონთ, რომ, რადგან ქუჩაე რაც ხეებია დარგული, ყველა ქალაის საკუთრებას შეადგენს, ამიტომ რავის ნება არა აქვს მათი მოჭრისა ნ გადაჩეხისა, ქალაქის მმართველობის ება-დაურთველად, წინააღმდეგ შემხვევაში დამნაშავენი კანონის ძალით აისჯებიან.

(3—6.—1)

ქ. გორში

მეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისუაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დალებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოელ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—24)

პეციალურად ბუჰგალერიის კურს-დამთავრებული

ქ. პეტერბურგში ეძებს შესაფერ ადგილს. პირობა მსურვ. ვთხოვ წერილით გვაცნოან. ადრესი: ტფილისი, ანტონოვის ქუჩა, № 3 ბუჰგალტერს. (3—115—2)

გუმმი-პეპსინი

(Gummi- Pepsin)

პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

სალექი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმელის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს.

5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—7)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Парфюмерія

Махровая „Сирень“

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად სამინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიურად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
- მკურნალი—ვლ. ინაევი
- გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
- ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
- მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვევდრი და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ.

Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова . . . «	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა .	1	„
ვეღურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა . . .	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები . . .	„	10
წმიდა აბო ტფილელი . :	„	30
დაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა . . .	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი .	„	50
ნამუენი გაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა . .	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით . . .	1	„
პაწია დაბუნკლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა . . .	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა .	„	40
Царица Тамара, მისივე . .	„	50

საბუჰგალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცეხნოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუგოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **დიომუშენი**, ი. **ფ. გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—15)

საბუხგალტერო კლასები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მესამე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი განგრძობილ იქმნება არა ნაკლებ 6 თვისა. **მეცადინეობა საღამოობით, კვირაში სამჯერ.** მსმენლებად შეუძლიანთ იყვნენ **წერა-კითხვის მცოდნენი ორივე სქესისა.**

ფასი 40 მანეთი მთელის კურსისათვის.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება ყოველ-დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, საკომერციო სასწავლებლის შენობაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11). (8—6.—3)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ.

(6—6)

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 სეკდემბრისათვის 1902 წლისა.

ა ქ ტ ი ვ ი.

	მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) .	11314	04
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ.	300	—
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . .	1000	—
IV. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი:		
ა) უზრუნველ-ყოფილნი: . . . 1760—76		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: . 7927—	9687	76
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი	7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი	287932	30
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით . .	500	—
VIII. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვ. გაგზავნილი	2794	86
IX. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.	3630	62
X. გირაოთი გაცემული სესხი: . . .		
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . . . . 12358—		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 39226—		
გ) საქონელზედ . . . 27955—		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. 3529—	83068	—
XI. დასაბრუნებელი ხარჯი	152	35
XII. მოწყობა და მომართვა	2353	39
XIII. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) 86287—99		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 14061—16	100349	15
XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .	169	84
XV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . - .	506	25
XVI. მიმდინარე ხარჯები.	11454	31
ბალანსი	522496	06

პ ა ს ი ვ ი.

	მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 813 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10°/₀-გან . .	87247	—
II. სათადარიგო თანხა	7354	46
III. °/₀°/₀ სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღ.	113	15
IV. შემოტანილი ფული:		
ა) მიმდინარე ანგარიშით . 121630—43		
ბ) ვადით . . . . 128642—		
გ) უვადოდ . . . . 1500—	251772	43
V. გარდასაცემი თანხა.	3865	37
VI. გარდასახდელი სარგებელი . . .	1606	21
VII. სახელმწიფო 5°/₀-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა	4	12
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად	542	—
IX. კორესპონდენტები:		
ა) იმათის ანგარიშით (loro) 33938—24		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 48793—64	82731	88
X. საგანგებო მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფ. . . .	14128	19
XI. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 17200		
სხვა ბანკებში . . . 35050	52250	—
XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა .	2457	14
XIII. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა. .	2089	75
XIV. მიღებული სარგებელი	15937	76
XV. მოგება და ზარალი 1902 წლისა . .	396	60
ბალანსი.	522496	06
პასუხის-მგებლობა 813 წევრისა 10°/₀-იან შემოსატან გარდ.	785223	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება	12100	—
თამასუქები საკომისიოდ.	4407	33

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.